ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №123

ქ. დმანისი

11 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებელის გოგი ბარბაქაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გზამშენი" (შემდგომში "მიმწოდებელი")წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯუმბერ დაუთაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა, გამგებელის №1018 ბრძანების (05/08/2016წ.) და SMP**160002146** შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდაგადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქ.დმანისში მუსხელიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (CPV- კოდი 45200000).

2.2. შესასრულებელი სამუშაო მოცემულია დეფექტურ აქტში, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას.

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1.ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1300 (ერთი ათას სამასი) ლარს(დ.ღ.გ-ს ჩათვლით).

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

5.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

5.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული სამუშაოს შესაბამისად, ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

5.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება 5.2 პუნქტის შესრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. შესყიდვის ობიექტის ან მისი ეტაპის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ნაწილილობრივ (ეტაპობრივ) მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - *-გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებელი-ვლადიმერ ჯინჭარაშვილი.*

6.4. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით განხორციელებული სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოების მიღების მიზნით გამგებლის 2014 წლის 30 ივლისის №186 ბრძანებით შექმნილ კომისიასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

7. სამუშაოს შესრულების პირობები

7.1. სამუშაოს დასრულების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.1.2.სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის ყურში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.1.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.4.წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების აქტს.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2.საამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

8.3.3. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.3.4. სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს *-გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებელი-ვლადიმერ ჯინჭარაშვილი.*

9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის პროცესის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

16. რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	შპს „გზამშენი" მის.: ქ. დმანისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, ჩიხი N3 საიდენტიფიკაცო კოდი: 228887256 საბანკო რეკვიზიტები: სს„საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი:BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE67BG0000000123273800 ტელ.: +99597293730

დმანისის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

_____ გოგი ბარბაქაძე

შპს „ გზამშენი"-ს
დირექტორი

_____ ჯუმბერ დაუთაშვილი

დეფექტური აქტი

ქ.დმანისი

01.08.2016წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა დმანისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელმა კომუნალური მეურნეობის საკთხებში - **ვლადიმერ ჯინჭარაშვილმა,** ამავე სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის საკითხებში - **ზურაბ ოქრიაშვილმა** და გამგებლის წარმომადგენელმა ქ. დმანისის ადმინისტრაციულ ერთეულში - **ემზარ პეტრიაშვილმა** შევადგინეთ დეფექტური აქტი მასზედ, რომ 31 ივლისის ძლიერი წვიმის შედეგად ქ.დმანისში მუსხელიშვილის ქუჩაზე განმეორებით მოხდა საცხოვრებელი სახლების პირველ სართულზე წყლის შევარდნა; მუსხელიშვილის ქ. N5-ში მოქალაქე ვარვარა ოქრიაშვილისა და მისი სამეზობლოს სახლები განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია; აღნიშნული პრობლემის გამოსასწორებლად საჭიროა ამ ტერიტორიაზე ჩამომავალი სანიაღვრე არხის მოწესრიგება, რისთვისაც საჭიროა აიყაროს სავარაუდოდ 20 კვ.მ. ფართის ასფალტის გზა, მოხდეს იქ არსებული ჩახერგილი მილების დემონტაჟი და საჭიროებისამებრ წყლის გასატარებლად გამოსადეგი მილების ხელახლა მონტაჟი; შემდგომ მოეწყოს იმავე ფართზე ახლი ასფალტის საფარი.

აღნიშნული სამუშაოებისთვს საჭიროა სავარაუდოდ 1300 (ათას სამასი) ლარი.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

1. ვ.ჯინჭარაშვილი
2. ზ. ოქრიაშვილი
3. ე.პეტრიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

ქ. დმანისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1018

05/08/2016

1018-07-4-201608051509

ქ.დმანისში სტიქიის შედეგად მუსხელიშვილის ქუჩაზე დაზიანებული სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ.დმანისში მომხდარი სტიქიის შედეგად მუსხელიშვილის ქუჩაზე დაზიანებული სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების (CPV – 45200000 სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამატივებული შესყიდვის საშუალებით - 1300 (ერთი ათას სამასი) ლარის ღირებულებით.
2. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (თ. ტატულაშვილი) მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადგენილი წესით.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა (გ. ბრბაქაძე).

გოგი ბარბაქაძე

გამგებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

ქ.დმანისი

11 აგვისტო ,2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კონონის მე-8 მუხლის შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი - გოგი ბარბაქაძე და გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებელი-ვლადიმერ ჯინჭარაშვილი ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის 11 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ქ.დმანისში მუსხელიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის (CPV- კოდი 45200000) განხორციელებაში, ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს:

_____ გ.ბარბაქაძე

_____ ვ.ჯინჭარაშვილი